მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27

2010 წლის 17 დეკემბერი

დ. მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება წარმოდგენილი რედაქციით /თან ერთვის/.
2. დადგენილება გამოქვეყნდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გ. გვარლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის (შემდგომში – გამგეობის) ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური (შემდგომში – სამსახური) წარმოადგენს გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით, გამგეობის დებულებით და ამ დებულებით.
3. სამსახურს აქვს საკუთარი ბლანკი და ბეჭედი.
4. სამსახური ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის კომპეტენცია

სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება

1. თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, პროგრამების და გეგმების შემუშავება.
2. მუნიციპალური ქონებისა და ბუნებრივი რესურსების მართვა.
3. სივრცით-ტერიტორიული მოწყობა.
4. სამეწარმეო დარგების (მრეწველობა, მშენებლობა, არქიტექტურა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, საბინაო-კომუნალური და საგზაო მეურნეობები), ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მართვა.
5. ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. სამსახური შედგება ორი სტრუქტურული ქვედანაყოფის – განყოფილებისაგან.
2. სამსახურის ქვედანაყოფებია:

ა) ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება;

ბ) ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ქალაქთმშენებლობის, ზედამხედველობისა და ინსპექტირების განყოფილება.

მუხლი 4. სამსახურის ძირითადი უფლება-მოვალეობანი

სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს:

1. მოითხოვოს და შეუფერხებლად მიიღოს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედგენა-შესრულების პროცესთან დაკავშირებული მონაცემები; საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა განხილვის, დაზუსტებისა და დამუშავების მიზნით მოიწვიოს გამგეობის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მოითხოვოს მათგან ინფორმაცია.

2. დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების განსახორციელებლად მოიზიდოს ინვესტიციები და ხელი შეუწყოს საინვესტიციო გარემოს ფორმირებას.

3. განიხილოს და შეითანხმოს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის, გარე გაფორმების ელემენტების (მათ შორის, მონუმენტურ-დეკორატიული), მცირე არქიტექტურული ფორმების, ძეგლების, ქანდაკებების, ტრანსპორტზე განთავსებული რეკლამის, გარე რეკლამის მხატვრული იერსახის და განთავსების საკითხები.

4. მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა საკითხებზე კანონმდებლობის შესაბამისად გასცეს ნებართვები, კერძოდ, მშენებლობის ნებართვა „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად.

5. განახორციელოს მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი ობიექტების ინსპექტირება.

6. განახორციელოს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ადმინისტრირება კანონმდებლობის შესაბამისად.

7. საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები.

8. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 5. ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ქალაქთმშენებლობის, ზედამხედველობისა და ინსპექტირების განყოფილება

განყოფილების ფუნქციებია:

1. თვითმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროგრამების პროექტების მომზადება.

2. დასახლებებში ელექტროფიკაციის, წყალმომარაგების სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და მათ განხორციელებაზე მუნიციპალური დაკვეთის განსაზღვრა.

3. დასახლებებში სახლების ნუმერაცია.

4. წინადადებების მომზადება თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა-გაუქმების, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის თაობაზე.

5. თვითმმართველი ერთეულის ფარგლებში არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი პროცესების მართვა, თვითმმართველი ერთეულის სივრცითი მოწყობის პოლიტიკის განსაზღვრა, სივრცით-ტერიტორიული და მიწათსარგებლობის დაგეგმვა, კანონით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის დამუშავება.

6. მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის უფლებრივი ზონირების, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების წესების პროექტების მომზადება, დასახლებების განვითარებისა და რეაბილიტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების პროექტების მომზადება; დამტკიცებულ პროგრამების განხორციელების კოორდინაცია.

7. მშენებლობაზე ნებართვების გაცემა, მშენებლობის პროექტის შეთანხმება; მშენებლობისათვის არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების მომზადება; საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა და შეთანხმება; მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

8. სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესში საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება.

9. „მშენებლობის ნებართვების გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად, ქალაქთმშენებლობითი პირობების (გეგმარებითი დავალებები) მომზადება, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების (ქალქათმშენებლობითი დოკუმენტაციები), შენობა-ნაგებობების (მათ

შორის ხაზოვანი ობიექტების), მიწისზედა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების, კეთილმოწყობისა და სხვა სახის არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტების შეთანხმება და კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით მშენებლობის ნებართვების გაცემა მისი კომპეტენციის ფარგლებში.

10. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების საჯარო განხილვების უზრუნველყოფა.

11. საჭიროების შემთხვევაში, გამგებლის წინაშე საკითხის დასმა, დამპროექტებელთა და ექსპერტთა ჯგუფების მოწვევის შესახებ.

12. საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

13. ზედამხედველობის განხორციელება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე, მშენბარე შენობა-ნაგებობების საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის კონტროლი, კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფა მშენებლობის დაწყებიდან მის დასრულებამდე.

14. განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოვლინება და დამრღვევის მიმართ სანქციების გატარების მიზნით ოქმების შედგენა და სასამართლოზე გადაცემა.

15. მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით საქმის წარმოების უზრუნველყოფა.

16. მშენებლობის ნებართვების თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების უზრუნველყოფა.

17. მშენებლობადამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიმღები კომისიების მუშაობის ორგანიზება და ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

18. მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი ობიექტების ინსპექტირება.

19. შიდა სარგებლობის გზების, ტროტუარების, ხიდების, გვირაბების, მდინარეთა ჯებირების და სხვა საინჟინრო ნაგებობათა ექსპლუატაციის უზრუნველყოფა. საბინაო-კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის ობიექტების ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.

20. დასახლებებში გარე განათებისა და სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

21. წყალდიდობების შედეგების ლიკვიდაციის, ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისა და ყინულისაგან გამწმენდი ღონისძიების დაგეგმვა.

22. ტერიტორიის კეთილმოწყობის, პარკების, სკვერების, ბულვარების, წყალსატევების და გამწვანების ზონების მოწყობის ორგანიზება.

23. ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავების, მყარი ნარჩენების შეგროვების, ნაგავსაყრელების მოწყობისა და გამოყენების ორგანიზება.

24. მოსახლეობის საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზება.

25. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდის და კომუნალური მეურნეობის მუშაობის, შესაბამის ობიექტთა ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

26. სასაფლაოების მოვლა-პატრონობაზე ზედამხედველობის განხორციელება.

27. შადრევან-აუზების მოვლა პატრონობაზე ზედამხედველობის განხორციელება.

28. საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 6. ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირების და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილება

განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

1. ა) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამის მომზადების ორგანიზებას, პროგრამის განსახორციელებლად დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

ბ) ეკონომიკური განვითარების დასაგეგმად საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

გ) ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას;

დ) წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე:

ე) საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების შესადგენად;

ვ) მუნიციპალიტეტის პროექტების კერძო ინვესტიციების ხელშეწყობისათვის წინადადებების მომზადებას;

ზ) მუნიციპალური პოექტების კერძო ინვესტორებთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების წარმართვას;

თ) მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საინვესტიციო პროექტების განხორციელების ზედამხედველობას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა გამოვლინება და სათანადო ოქმების შედგენა და სასამართლოზე გადაცემა.

2. ა) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აღრიცხვას და რეგისტრაციას;

ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას;

გ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და შეცვლასთან დაკავშირებით;

დ) საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით;

ე) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვის საკითხებზე;

ვ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონებით სარგებლობის წესებთან დაკავშირებით;

ზ) რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით;

თ) ადგილობრივი ქონების გამოყენების მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება, ამორტიზირებული ქონების ჩამოწერასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. ა) წინადადების მომზადება კანალიზაციის, გამწმენდ ნაგებობათა, დასუფთავების, ნაგავსაყრელ და ნაგავგადამამუშავებელი ობიექტების შექმნასა და შენახვაზე, მათი ფუნქციების მონიტორინგი;

ბ) წინადადებების მომზადება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი რესურსების მართვაზე, გარემოზე ზემოქმედების მქონე ობიექტების განლაგებისა და მშენებლობის პროექტების შეთანხმებაზე;

გ) მონიტორინგი თვითმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წესების დაცვაზე;

დ) ბუნებრივი რესურსების მდგომარეობისა და ხარისხის შეფასება და აღრიცხვა;

ე) გარემოს მდგომარეობის შესწავლა, წინადადების მომზადება გარემოს დამაბინძურებელ ქიმიურ და სხვა ნივთიერებათა ზემოქმედების შესახებ;

ვ) მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. სტიქიური მოვლენებისგან მოსახლეობის დასაცავად საჭირო ზომების შესახებ წინადადების მომზადება.

4. ა) ტრანსპორტის სფეროს რეაბილიტაცია-განვითარების პროგრამის პროექტების მომზადება; დამტკიცებული პროგრამის განხორციელების მონიტორინგი;

ბ) ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტების პროექტების მომზადება;

გ) სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებისათვის სადისპეტჩერო აღრიცხვიანობაზე მონიტორინგი;

დ) რეკომენდაციების შემუშავება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მოქმედი, ავტოსადგურებისა და ავტოსალაროების ფუნქციონირების რეგულირების და აღრიცხვიანობის ერთიანი სისტემის ორგანიზებაზე. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და მონიტორინგი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებისა და მგზავრობის უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

5. წინადადებების მომზადება ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების საკითხებზე.

6. რეკომენდაციების შემუშავება სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტებზე;

7. საქართველოს კანონმდებლობით, სამსახურის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება.

მუხლი 7. სამსახურის უფროსი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი.

2. სამსახურის უფროსის ფუნქციები:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) უშუალოდ და სამსახურის საჯარო მოხელეთა მეშვეობით წყვეტს სამსახურის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

გ) მოქმედებს სამსახურის სახელით, წარმოადგენს სამსახურს სხვადასხვა ორგანოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას;

დ) კონტროლს უწევს სამსახურის საჯარო მოხელეთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულებას და ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას, ხელს უწყობს მათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა განხორციელებაში;

ე) გამგებელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) წყვეტს სამსახურისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების საკითხებს, პასუხს აგებს ამ სახსრების ზუსტ და მიზანმიმართულ გამოყენებაზე;

ზ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;

თ) სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე.

მუხლი 8. სტრუქტურული ქვედანაყოფის-განყოფილების უფროსი

1. სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფს – განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს გამგებელი.

2. განყოფილების უფროსი.

განყოფილების უფროსის ფუნქციები:

ა) პასუხს აგებს განყოფილებისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) აუცილებელ პირობებს უქმნის განყოფილების საჯარო მოსამსახურეებს მათი ფუნქციონალური მოვალეობების შესრულებისთვის, საიდუმლოების რეჟიმის, შრომის შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისთვის;

გ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის წინაშე.

მუხლი 9. სამსახურის ქონება

სამსახურის მთელი ქონება შეადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებანი

1. სამსახურის დებულებას ამტკიცებს საკრებულო.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.